

უაკ: 349 + 342.5 + 37.005 + 338 + 331

საქართველოში უმაღლესი სპორტული განათლების სამართლებრივი რეგულირებისა და მართვის ასპექტები

გიორგი ჭილაძე
საქართველოს უნივერსიტეტი, NASA-Georgia

ანოტაცია:

სპორტული განათლება საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. იგი შეიძლება განვიხილოდ, როგორც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ნაწილი. მნიშვნელოვან სემინტად უნდა ჩამოყალიბდეს სპორტული საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი და შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში (2014 – 2020). იგი წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, ვინაიდან სპეციალიზაციათა ჩამონათვალში, “სპორტის საერთაშორისო სამართალი” საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2013 – 2019) საჭიროებს დახვეწას და სამართლებრივ რეგლამენტაციას. უნდა იქნეს გათვალისწინებული სპორტული საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნა ისეთ სპეციალობებზე, როგორც არის სპორტის მენეჯერი, სპორტის მარკეტოლოგი, სპორტის სამართლის სპეციალისტი, სპორტული ინფრასტრუქტურის სპეციალისტი და სხვ.

საკვანძო სიტყვები: სპორტის სამართალი, უმაღლესი სპორტული განათლება, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, შრომის ბაზარი, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

საქართველოში სპორტული განათლების ერთ-ერთ მარეგლამენტირებელ დოკუმენტს წარმოადგენს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (2014 – 2020), რომლის მიხედვით სპორტული განათლება გულისხმობს ადამიანის ფიზიკური განვითარების შესახებ შესაბამის ცოდნას, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების საბაზისო მოძრაობითი და სპორტული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა, სიმარჯვე) განვითარებას. ხოლო საუნივერსიტეტო სპორტი არის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტული მოძრაობა და გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის სპორტული აქტივობის განხორციელებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის დაქვემდებარების ქვეშ. საუნივერსიტეტო სპორტის ძირითადი მიზნებია სტუდენტებში სპორტული ღირებულებების დანერგვა, ჯანმრთელობის განმტკიცება, შეჯიბრებებში მონაწილეობა და ამ გზით სპორტული პოტენციალის რეალიზება.

დღეს სპორტული განათლება განიხილება, როგორც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ემსახურება გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მიზნებს. იგი არის მსოფლიო მეურნეობის სპეციფიკური დარგის – საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზრის ნაწილი, რომლის წლიური ბრუნვა რამდენიმე ათეული მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო მომხმარებელთა მოცულობა რამდენიმე მილიონ ადამიანს შეადგენს.

ამ სპეციფიურ ბაზარზე, ჩემი აზრით, უახლოეს პერიოდში საქართველოში სპორტული პროფილის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების სპორტის ფაკულტეტების ბაზაზე მნიშვნელოვან სეგმენტად უნდა ჩამოყალიბდეს სპორტული საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი და ამ მიმართულებით შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში (2014 – 2020).

ამ ბაზარზე შესაძლებელია ვაჭრობა სხვადასხვა სახის საქონლითა და მომსახურებით, როგორცაა დისტანციური სწავლება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზაღრდის პედაგოგთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, დამატებითი განათლება, ენების კურსები, სხვადასხვა სპორტული საგანმანათლებლო პროგრამები, სპორტული დისციპლინების სწავლების მეთოდები, სასწავლო CD-დისკები, სპორტული პროფილის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და სხვ.

სპორტული უმაღლესი სასწავლებლის პოზიციონირების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს სპორტული საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა შესაბამისი სეგმენტისათვის ჩატარებული სიტუაციური ანალიზის საფუძველზე განხორციელებული სინთეზის შედეგს. ამასთან, სიტუაციური ანალიზის ფორმები სხვადასხვა შეიძლება იყოს (პორტფელური, ასორტიმენტული, კონკურენტული, საქონლის – სპორტული განათლების სრულყოფის მიმართულებების ანალიზი და ა.შ.). სტრატეგიის შემდგომი დეტალიზაცია გულისხმობს საგანმანათლებლო მომსახურების ეფექტური პოზიციონირებისათვის მარკეტინგული კომპლექსის ყველა ელემენტის (მომსახურება, კომუნიკაცია, განაწილება და ფასწარმოქმნა) შემუშავებას.

სპორტული საგანმანათლებლო მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა და პოზიციონირება მდგომარეობს სპორტული საგანმანათლებლო პროდუქტის და მარკეტინგის კომპლექსის ისეთი პარამეტრების შერჩევასა და რეგლამენტაციაში, რომლებიც მიზნობრივი მომხმარებლების თვალთახედვით უზრუნველყოფენ აღნიშნული მომსახურების კონკურენტულ უპირატესობას.

იმის გათვალისწინებით, რომ თუნდაც საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დამტკიცებული კვოტის ფარგლებში შეუძლია საშუალოდ 450 სტუდენტის მიღება (რეალურად კი, მიმდინარე ეტაპზე ბაკალავრიატის ორივე ფაკულტეტზე, – როგორც მწვრთნელთა, ისე ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე, - საშუალოდ ათვისებულია მხოლოდ 75 ადგილი), გაყიდვის საგანს უნდა წარმოადგენდეს უცხოელი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიცემა. ამ

მიზნიდან გამომდინარე კი უცხო ენაზე სასწავლო და მეთოდური მასალების მომზადება და შესაბამისი ენის მცოდნე პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაა საჭირო.

სამწუხაროდ, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა რეგულაციების შესაბამისად, ეს უკანასკნელი გეგმავს მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები მხოლოდ შემდეგი სპეციალობებით:

- ა) მწვრთნელი სპორტის სახეების მიხედვით;
- ბ) ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი;
- გ) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტი.

იგი არ ითვალისწინებს სპორტული საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნას ისეთ სპეციალობებში, როგორც არის სპორტის მენეჯერი, სპორტის მარკეტოლოგი, სპორტის სამართლის სპეციალისტი, სპორტული ინფრასტრუქტურის სპეციალისტი და სხვ. ასეთი სპეციალისტების მომზადებაზე საუბარი არ არის როგორც უნივერსიტეტის საქმიანობის სტარტეგიულ და პრიორიტეტულ სფეროებში, ისე გრძელვადიან ამოცანებში.

როგორც სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის (2014 – 2020) მე-4 თავის მე-2 ქვეთავში არის აღნიშნული, სასპორტო განათლების სისტემა უნდა მოიცავდეს სპორტის სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, მწვრთნელთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებს და ინსტიტუტებს. სასპორტო განათლების სისტემამ კი უნდა უზრუნველყოს: სპორტში კვალიფიციური კადრების მომზადება; მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების თანამედროვე მეცნიერულ საფუძვლების და კვლევების უზრუნველყოფა. თუმცა, დოკუმენტი არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად რა ვადებში უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული ღონისძიებები. ჩემი აზრით, თანამედროვე საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ფოკუსირება მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელთა მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე არ იქნება გამართლებული, ვინაიდან აქ გასათვალისწინებელი იქნება სპორტის სფეროში დასაქმებული სხვა სპეციალისტებიც.

არსებით დახვეწასა და გადამუშავებას საჭიროებს აგრეთვე სპორტის სფეროში სახელმწიფო დოკუმენტის (2014 – 2020) მე-4 თავის მე-2.1 ქვეთავი, სადაც საუბარია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. კერძოდ დეკლარირებულია, რომ მისი საქმიანობა შესაბამისობაშია ევროპის უმაღლესი სპორტული განათლების სტანდარტებთან და მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას:

- 1) სპორტული წვრთნის ხელოვნება;
- 2) სპორტის მენეჯმენტი;
- 3) ფიზიკური აღზრდა;
- 4) ჯანმრთელობა და ფიტნესი.

ამ მიმართულებათა ფარგლებში უნივერსიტეტი ამზადებს შემდეგი კომპეტენციის სპეციალისტებს: მწვრთნელებს, სპორტის მენეჯერებს, სპორტის უსაფრთხოების სპეციალისტებს, სპორტის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს, ფიზიკური მომზადების მასწავლებლებს, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს,

სპორტულ ჟურნალისტებს, ჯანმრთელობის და ფიტნესის სპეციალისტებს, სპორტში მეცნიერულ კვლევათა წარმოების სპეციალისტებს, სპორტული პრობლემატიკის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების სპეციალისტებს.

შევნიშნავ, რომ სპორტის სამართალი ასევე უნდა იყოს, უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, ვინაიდან დოკუმენტში ასახული ოთხი მიმართულების ფარგლებში (სპორტული წვრთნის ხელოვნება, სპორტის მენეჯმენტი, ფიზიკური აღზრდა, ჯანმრთელობა და ფიტნესი) ვენარაინად ვერ მომზადდებიან სპორტის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება განათლების საერთო ეროვნულ სტანდარტებს და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ”).

თუკი დოკუმენტის ავტორები ვარაუდობდნენ, რომ სპეციალისტი სპორტის სამართალში შეიძლება მომზადდეს მენეჯმენტის მიმართულების ფარგლებში, აქაც ვაწყდებით წინააღმდეგობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში, ვინაიდან ქვედარგი 020330 “სპორტის მენეჯმენტი” განეკუთვნება 02 დარგს “ბიზნესის ადმინისტრირება” და მის ფარგლებში ვერ მომზადდება სპეციალისტი, რომელსაც უნდა მიენიჭოს იურისტის კვალიფიკაცია. მათ მოსამზადებლად საჭიროა, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს სამართლის ბაკალავრის ან სამართლის მაგისტრის სპეციალური იურიდიული პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

კიდევ ერთი უზუსტობა, რასაც შეიცავს სპორტის სფეროში სახელმწიფო დოკუმენტი. კერძოდ, იგი წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ამ უკანასკნელის მიხედვით, ცალკე 06 მიმართულებად არის გამოყოფილი სამართალი, 0602 საერთაშორისო სამართლის სპეციალობაში კი გაერთიანებულია მხოლოდ შემდეგი ოთხი სპეციალიზაცია:

- 060201 ჰუმანიტარული სამართალი,
- 060202 საზღვაო სამართალი,
- 060203 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და
- 060204 საერთაშორისო სახელმწიფო ურთიერთობების სამართალი.

ამრიგად, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სპეციალიზაციათა ჩამონათვალში, მიმდინარე ეტაპზე, “სპორტის საერთაშორისო სამართალი” საერთოდ არ არის წარმოდგენილი და სახეზე გვაქვს აშკარა შეუსაბამობა აღნიშნულ ორ ნორმატიულ აქტს შორის.

დაკონკრეტებას საჭიროებს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის (2014 2020) მე-4 თავის მე-2.1 ქვეთავში ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტი ამზადებს სპეციალისტებს სპორტში მეცნიერულ კვლევათა წარმოებისა და სპორტული პრობლემატიკის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების სფეროში. ზოგადად, სპორტული პრობლემატიკის მეცნიერულ დონეზე შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების კვლევის საგანს. პერსპექტივაში, როდესაც

სპორტის უნივერსიტეტში სრული დატვირთით ამოქმედდება როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამები, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები ისედაც განახორციელებენ მეცნიერულ კვლევებს შესაბამისი მიმართულებით. ისმის კითხვა: ასეთი კატეგორიის მკვლევართა მომზადება უნდა ვიგულისხმოდ სახელმწიფო დოკუმენტის ზემოაღნიშნულ მუხლში?

სამწუხაროდ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2013 – 2019 წ.წ.), რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის წინაშე დასმული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზების მოძიებისაკენ და მისი მომავალი საქმიანობისთვის წარმოადგენს ერთგვარ ორიენტირს, ჩარჩოს, - რომელზეც შემდგომი მუშაობა გაგრძელდება მომავალშიც, - სრული სახით არ არის ასახული ის ახალი გამოწვევები, რაც მიმდინარე ეტაპზე წაყენება საუნივერსიტეტო სპორტულ განათლებას საქართველოში. ვინაიდან უნივერსიტეტი, მიმდინარე ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის სპორტული განათლების ერთად-ერთი სასაწავლო-სამეცნიერო უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც თავის ძალისხმევას მიმართავს სწავლების და კვლევითი საქმიანობის განვითარებისაკენ, სწორედ ეს ორი ძირითადი კომპონენტი და სპორტული საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნები უნდა დაედოს საფუძვლად უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საიტი <http://www.sportuni.ge/>
2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (2014 2020) http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=319&info_id=10631
3. <http://sportuni.ge/multimedia/ups/samkurnalo.pdf>
4. <http://sportuni.ge/multimedia/ups/mwvrtnelta.pdf>
5. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ”) http://eqe.ge/geo/education/national_qualifications_framework
6. Алексеев С.В. Спортивное право. Трудовые отношения в спорте. М., 2013, 647 стр.
7. Деревнина А.Ю., Проектирование миссии университета. Высшее образование. М., 2008. №3, с. 117
8. Ламбен Ж.-Ж. Стратегический маркетинг. С.-Пб., Наука, 1996, 589 с. www.aeag.org.ge/data/file/225/01_Education%20system%20overview.pdf
9. <http://sportuni.ge/1/23/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90>
10. <http://www.oecd.org>
11. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის, სპორტის და სპორტული განათლების მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ / ქუთაისი, 2014 წლის 5-6 ივლისი
12. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის და სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური

კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ / ქუთაისი, 2014
წლის 5-6 ივლისი

13. www.unesco.org

Article received: 2014-13-03